თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 28 თებერვალი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. მერაბი ბასილაძე, 6. როლანდი მესხი, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. ივანე ჩუბინიძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305887, 27.02.2023 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282305884, 27.02.2023 წ.).

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატება ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. № 68 -ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 454 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 6800 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი - იჯარის ფორმით სარგებლობის საფასური, ერთი თვის საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 150 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ № 33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გასხვისებაზე).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე